



თბილისის სააპელაციო სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

31

მარტი,

2020

წელი

თბილისი

**სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლე მაია გიგაური**

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

აპელანტი - ე-----ი (მოპასუხე)

მოწინააღმდეგე მხარე - ვ-----ი, ვ-----ი
(მოსარჩელები)

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.04.2019წ. გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

დავის საგანი – უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ვ-----მა და ვ-----ამ სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხე ე-----ის მიმართ და მოითხოვეს მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნეს ქ-----ში მდებარე (საკადასტრო კოდი 0-----) შენობა #1-ის პირველი სართულის საერთო ფართის 39,87 კვმ-დან 15,72 კვ.მ. ფართი, 5,94 კვ.მ. ფართი, 2,45 კვ.მ. ფართი. შენობა #1-ის მეორე სართულის საერთო ფართის 74,72 კვ.მ-დან 12,24 კვ.მ. ფართის ოთახი, 16,27 კვ.მ. ფართი ოთახი, 4,88 კვ.მ. ფართის შესასვლელი.

შენობა #3-ის 6,71 კვ.მ. ფართი, შენობა #4-ის 2,93 კვ.მ. ფართი და 3,45 კვ.მ. ფართი სველი წერტილი (იხ., დაზუსტებული მოთხოვნა ს.ფ. 155).

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელების განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.06.2014წ. გადაწყვეტილებით ცნობილნი იქნენ თანამესაკუთრებად უძრავ ქონებაზე, მდებარე: თ-----, საკადასტრო კოდით 0-----. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, უძრავი ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა მათ სახელზე, თუმცა მოპასუხე ფლობს სადავო უძრავ ნივთს და მესაკუთრეებს არ აძლევთ შესაძლებლობას ისარგებლონ კუთვნილი ქონებით.

მოპასუხის პოზიცია:

3. მოპასუხემ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ იგი სადავო ქონებას ფლობს კანონიერად, ვინაიდან მას ქონება შეძენილი აქვს თავდაპირველი მესაკუთრისგან და წლების მანძილზე იხდიდა კომუნალურ გადასახადებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.04.2019წ. გადაწყვეტილებით ვ-----ის და ვ-----ას სარჩელი დაკმაყოფილდა. ე-----ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა უძრავი ნივთი მდებარე, ქალაქი თ-----ში საკადასტრო კოდი 0----- და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცათ ვალენტინა და ვ-----ებს - ა) შენობა #1-ის პირველი სართულის საერთო ფართის 39,87 კვ. მეტრიდან 15,72 კვ. მეტრი ფართი; 5,94 კვ. მეტრი ფართი; 2,45 კვ. მეტრი ფართი; ბ) შენობა #1-ის მეორე სართული საერთო ფართის 74,72 კვ. მეტრიდან 12,24 კვ.მეტრი ფართის ოთახი, 16,27 კვ.მ. მეტრი ფართის ოთახი, 4,88 კვ. მეტრი ფართის შესასვლელი; გ) შენობა #3-ის 6,71 კვ. მეტრი ფართი; დ) შენობა #4-ის 2,93 კვ. მეტრი ფართი და 3,45 კვ.მეტრი ფართი სველი წერტილით.

სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრეები იყვნენ მოსარჩელები, ხოლო მოპასუხეს არ წარმოუდგენია იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ უძრავ ქონებას ფლობდა კანონიერად. მხარეთა შორის არ არსებობს რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობა, რითაც მოსარჩელე (მესაკუთრე) შეიძლება შეზღუდულიყო მოპასუხესთან მიმართებაში. არ არსებობს არც კანონისმიერი საფუძველი რაიმე შეზღუდვისათვის და შესაბამისად, მოსარჩელე უფლებამოსილია

სრულყოფილად განახორციელოს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე კანონით გარანტირებული უფლებები.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე, 168-ე მუხლებზე, ასევე ამავე კოდექსის 312-ე მუხლზე და დააკმაყოფილა სარჩელი უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის თაობაზე.

აპელანტის მოთხოვნა და საფუძვლები:

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.04.2019წ. გადაწყვეტილება გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე-----მა და მოითხოვა მისი გაუქმება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის განმარტებით, მან სადავო ფართი ნ-----სგან შეიძინა 1997 წელს შინაურული ხელწერილით, რის შემდგომაც ფლობს ქონებას და იხდის გადასახადებს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება

6. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ.

7. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის

დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ ვინდიკაციური სარჩელის აღძვრისას უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები:

- მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე;
- მოპასუხე უნდა ფლობდეს მოსარჩელის კუთვნილ ნივთს და
- მას არ უნდა გააჩნდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია და სააპელაციო საჩივრით სადავო არ გამხდარა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.06.2014წ. გადაწყვეტილებით ვ----- და ვ-----ები (შემდგომში „მოსარჩელები“) ცნობილ იქნენ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივში აწ გარდაცვლილი ნ-----ს საკუთრებად რეგისტრირებული უმკვიდრო ქონების - ქ----- მისამართზე მდებარე საცხოვრებელი სადგომის (ლიტერი „ა“ ფართით 117.98 კვ.მ. და ლიტერი „ბ-გ-დ-ვც“ ფართით 23.29 კვ.მ.) თანამესაკუთრებად. გადაწყვეტილების თანახმად, მოსარჩელები დადგენილ იქნენ უმკვიდრო ქონების მოსარგებლეებად „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე (იხ.; ს.ფ. 14-18).
- საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ მოსარჩელები

რეგისტრირებულნი არიან უძრავი ქონების, მდებარე: თ-----
----ში, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: #1, საერთო ფართი: 114,59 კვ.მ.
აქედან, პირველი სართულის საერთო ფართის 39,87 კვ. მეტრი, მეორე
სართული საერთო ფართის 74,72 კვ. მეტრი, #2 საერთო ფართის: 5.32
კვ.მ., #3 საერთო ფართის: 6,71 კვ.მ. და #4 საერთო ფართის 6.38 კვ.მ.
მესაკუთრეებად. საკუთრების წარმოშობის საფუძველია თბილისის
საქალაქო სასამართლოს 10.09.2014წ. განჩინება, სააღსრინებო ბარათი #0---
--- აღრიცხულია 1984 წელს და თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.06.2014წ. გადაწყვეტილება (იხ.,
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ს.ფ. 171).

- ე-----მა (შემდგომში „მოპასუხე“) 19.05.2017წ. განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 20.06.2014წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. განმცხადებლის განმარტებით, იგი წარმოადგენდა სადავო ქონების მოსარგებლეს კანონის საფუძველზე და მიწვეული უნდა ყოფილიყო საქმის განხილვაზე, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოითხოვა გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.10.2017წ. განჩინებით ე-----ის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.06.2014წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ განმარტა, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, საცხოვრებელ სადგომზე მოსარგებლეობის ფაქტის დასადასტურებლად საკმარისი არ არის მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტი. აუცილებელია სხვა მტკიცებულებების არსებობაც, როგორცაა მაგ. კომუნალური გადასახადების გადახდა (ქვითრები), საცხოვრებელი სადგომის სარგებლობის თანხის გადახდა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვ. მოცემულ შემთხვევაში, ე-----ის მიერ არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა ქ. თ-----ში მდებარე სადგომზე, განმცხადებლის უფლებების არსებობა.

8. პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ სადავო ბინა აპელანტის არამართლზომიერ მფლობელობაშია.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 311-ე მუხლების დანაწესზე და განმარტავს, რომ უძრავ ნივთზე

საკუთრების შექმნა ვლინდება საჯარო რეესტრიდან, ხოლო ამავე კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ არსებობს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

განსახილველ შემთხვევაში, საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, სადავო უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია მოსარჩელების საკუთრების უფლება.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიზნებისათვის, კანონმდებლობა ადგენს დასაშვები მტკიცებულებების ნუსხას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. დასახელებული ნორმა წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ზოგად, პროცესუალურ სტანდარტს და ადგენს ვალდებულ პირს, რომელმაც მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი სათანადო გარემოებებზე მითითებითა და დასაშვები მტკიცებულებების წარდგენით უნდა დაადასტუროს.

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ სარჩელის შემთხვევაში, მტკიცების საგანში შემავალი სამი ელემენტიდან (მოსარჩელის საკუთრების უფლების არსებობა ნივთზე; ამ ნივთის მოპასუხის მფლობელობაში ყოფნა; მოპასუხის მიერ ნივთის არამართლობიერი ფლობა) პირველი ორის დადასტურების ვალდებულება მოსარჩელეს ეკისრება, ხოლო მესამე ელემენტზე მას მითითების ვალდებულება გააჩნია. მოსარჩელებმა საჯარო რეესტრის ამონაწერი წარადგინეს, რომლითაც მათი საკუთრების უფლებაა გარანტირებული. რაც შეეხება მესამე ელემენტს – ნივთის ფლობას, მოპასუხის მტკიცების საგანში შედის მისი ფლობის ნამდვილი უფლების დადასტურება (მართლობიერი მფლობელი, მესაკუთრე). საპროცესო კანონმდებლობა ადგენს მხარის სრულ უფლებას, შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის ფარგლებში (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლები), თავისუფლად წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც, მისი შეფასებით, მისი პოზიციის მართებულობას ადასტურებენ.

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მხარე აპელირებს უძრავი ქონების ფლობის მართლობიერი უფლების არსებობაზე, თუმცა, ვერ ამტკიცებს მას. მისი განმარტებით, იგი არის „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისა და წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსარგებლე პირი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების

დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია: ა) ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს; ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ;

ამდენად, პრეიუდიციულია (ლათ. “*praejudicio*” –“წინასწარ გადაწყვეტა,” „წინასწარ დადგენა“) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები, რადგან ისინი უკვე დადგენილია და აღარ არსებობს არავითარი აუცილებლობა მათ ხელახლა დასადგენად. ამასთან, პრეიუდიციული მნიშვნელობა განისაზღვრება მისი სუბიექტური ფარგლებით (საზღვრებით). ეს ნიშნავს, რომ პრეიუდიციულობის თვისება აქვთ გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულ მატერიალურ-სამართლებრივ ფაქტებს, თუ, ამასთან, ყველა დაინტერესებული პირი, რომელთაც გადაწყვეტილება ეხება, ჩაბმული იყო პროცესში.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.10.2017წ. განჩინებით, რომლითაც ე-----ს უარი ეთქვა ამავე სასამართლოს 20.06.2014წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და საქმის წარმოების განახლებაზე და რომელიც შესულია კანონიერ ძალაში, დადგენილი იქნა, რომ ე-----ის მიერ არ იქნა წარდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა ქ. თ-----ში მდებარე სადგომზე, განმცხადებლის უფლებების არსებობა. ამდენად, ე-----ი არ წარმოადგენდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილის ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოსარგებლეს.

მითითებული განჩინება მიღებულია სხვა სამოქალაქო საქმეზე, რომელშიც მონაწილეობდნენ იგივე მხარეები, შესაბამისად, აღნიშნული დავის ფარგლებში დადგენილ გარემოებებს წინამდებარე დავასთან მიმართებაში ენიჭება პრეიუდიციული მნიშვნელობა.

პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, ვერ შეძლო თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და სასამართლოსათვის იმ მტკიცებულებების წარდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა სადავო ნივთზე მისი მფლობელობის მართლობიერება.

მოპასუხე უკანონოდ ფლობს სადავო უძრავ ქონებას, რადგან მხარეთა შორის არ არსებობს რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობა, რითაც მესაკუთრე შეიძლებოდა შეზღუდულიყო მოპასუხესთან (აპელანტთან) მიმართებაში.

ამასთან, არ არსებობს არც კანონისმიერი საფუძველი რაიმე შეზღუდვისათვის, შესაბამისად, მოსარჩელე უფლებამოსილია სრულყოფილად განხორციელოს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე კანონით გარანტირებული უფლებები და გამოითხოვოს ნივთი მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 168-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრის პრეტენზიის გამო, ნივთის მფლობელობა წყდება, თუ მესაკუთრე მფლობელს წაუყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას. ამდენად, რადგანაც განხორციელებულია სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წინაპირობა, მოსარჩელეს უფლება აქვს, მფლობელობის შეწყვეტა და ნივთის მისთვის გადაცემა მოითხოვოს. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მართებულად დაკმაყოფილდა მესაკუთრის სარჩელი. არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

9. პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს, ამდენად, პალატა ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ასკვნის, რომ იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

საპროცესო ხარჯები

10. სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია (ს.ფ. 250).

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ და ა დ გ ი ნ ა:

1. ე-----ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელი დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.04.2019წ. გადაწყვეტილება.
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში დასაბუთებული განჩინების ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მეშვეობით.

მოსამართლე:

მანია გიგაური